I

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2011

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

დავალებების ერთი ნაწილის შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრედი მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

I და II ნაწილების შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ტესტის ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.
ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება - ორი დავალებისაგან შედგება.
უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც** და **ბ) წერითი დავალებაც**.
შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.
წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია რამდენიმე გვერდი.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(4) **1. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.**

ა) გაცივებული. ბ) გრილი. გ) იშვიათი. დ) მეჩხერი. ე) მცხუნვარე. ვ) მშრალი. ზ) მცირერიცხოვანი. თ) მწირი. ი) ღატაკი. კ) ცხელი.

ხმელეთის ერთ მესამედს უდაბნო შეადგენს. ერთი შეხედვით, მცენარეებისათვის აქ (1)ნოყიერი ნიადაგია. წვიმა უდაბნოში (2)ხშირი მოვლენაა. ამ დროს მიდამო ერთიანად იფურჩქნება და უსწრაფესად მწვანდება. უდაბნოში ბევრი ცოცხალი არსება ბინადრობს. ცხოველები (3)ტენიან ჰავას არიან შეგუებული. მათი ნაწილი მხოლოდ შუაღამისას (4)თბილ ამინდში გამოდის გარეთ.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების **შესაბამისი ნომრების გასწვრივ** მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
2.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
3.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
4.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

(7) **2.** ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. რამდენიმე წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, რამდენიმე წინადადება კი უშეცდომოა.

თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	II უშეცდ.
1. შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნებმა ასტრონომია იმდენად გაანვითარეს, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვნად გაუსწრეს ევროპას.	☐	☐
2. მათ მიერ ჩატარებული დაკვირვებები გასაოცარი სიზუსტით გამოირჩეოდა და მიღებულმა შედეგმა ბერძენი ასტრონომების მიღწევებიც კი დაჩრდილა.	☐	☐
3. ასტრონომიამ დიდ წარმატებებს მიაღწია შუა აზიის ისეთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრებში, როგორებიცაა: ბუხარა, მერვი და სამარყანდი.	☐	☐
4. აქ მოღვაწე ასტრონომებმა არა მარტო შორს გაუსწრეს სხვა ხალხებს, არამედ შეძლეს ნიადაგი მოემზადებიათ ევროპული მეცნიერებისათვის.	☐	☐
5. XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი სპარსელი პოეტი, მეცნიერი და ფილოსოფოსი ომარ ხაიამი.	☐	☐
6. მას მიაჩნდა, რომ დედამიწა მოძრაობს სამყაროს უსასრულო სივრცეში და ბრუნავს საკუთარ ღერძის გარშემო.	☐	☐
7. ომარ ხაიამი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია აღმოაჩინოს ბუნების კანონები და აიძულოს ბუნება, რადგან ემსახუროს ადამიანებს.	☐	☐

(14) **3.** ტექსტში დაშვებულია **13** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. ***გაასწორეთ*** ეს შეცდომები და ხარვეზები და გადაწერეთ ტექსტი ისე, რომ მასში ***არც ერთი სხვა ცვლილება*** არ შეიტანოთ.

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 14 ქულა. ***გაითვალისწინეთ,*** ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თავისუფლების მოედანი ბევრი ხნის განმავლობაში უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა. მე-18 საუკუნის ბოლომდე ამ ადგილებში ერთად-ერთი შენობა სჩანს. ვახუშტის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, იქ სადაც მერიის შენობაა მხოლოდ „ბეჟანას ქარვასლა“ იდგა. მე-19 საუკუნიდან დაიწყო აქაურობის ინტენსიური განაშენიანება. ზოგიერთმა ნაგებობამ ჩვენ დრომდე მოაღწია. მათთაგან აღსანიშნავია ხელოვნების მუზეუმისა და მერიის შენობები.

მოედანის ირგვლივ იდგა რამდენიმე შენობა, რომელიც ამშვენებდა თბილისს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერის პროექტით აგებული თეატრი და ქარვასლა. სამწუხაროთ, თეატრი დაიწვა და შენობა მხოლოდ ქარვასლას დაეთმო, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფდა მოედანს. გასული საუკუნის 30-ან წლებში ეს მონუმენტური შენობა დაანგრიეს ამ ადგილის რეკონსტრუქციის გამო.

(15) **4.** იმსჯელეთ <u>თანამედროვე სკოლის</u> შესახებ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- როგორია თანამედროვე სკოლაში ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის;
- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობა და რა არის საჭირო ამის მისაღწევად;
- რა გავლენას ახდენს სკოლაში არსებული ატმოსფერო ახალგაზრდის ფორმირებაზე.

შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

გაითვალისწინეთ: *არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი* ***არ გასწორდება!***

შავი სამუშაოსათვის

II. ქართული ლიტერატურა

(5) **5. იაკობ ხუცესის თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ვკითხულობთ:**

ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო, და დანო ჩემნო, და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენეთ. და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“. და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაი და დედათაი, მოხუცებულთა და ყრმათაი, მხედრ მიმოდასდევნინ და მეოტ-ჰყოფნ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ხიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერხითა შენითა სლვაი, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ“. და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოით კერძო, მცირეი და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაი იგი. და ჯაჭვი იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა, და დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თვისითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რაითა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო“.

1. *ამოიწერეთ* შუშანიკის სიტყვები, რომლებშიც ჩანს, რომ მოსახლეობა მას თანაუგრძნობს (არა უმეტეს ორი სიტყვისა).
2. *განმარტეთ,* რას ნიშნავს სიტყვა „ამბოხი“.
3. *განმარტეთ,* რით ემუქრება დედოფალს პიტიახში (ციტირება დაუშვებელია!).
4. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, რა იქნება, შუშანიკის აზრით, მისი ამქვეყნიური ტანჯვის საზღაური.
5. *განმარტეთ,* შუშანიკის სიტყვებიდან გამომდინარე, რა შეიძლება ელოდეს ვარსქენს იმ ქვეყნად?

(5) **6. ნესტანი სწერს თავის მიჯნურს:**

„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ნუ, თუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!“

1. *განმარტეთ,* როგორ ახასიათებს ნესტანი ქაჯეთის ციხეს (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ჩანს ქაჯეთის ციხის მცველთა განსაკუთრებული სისასტიკე.
3. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, რატომ არის, ნესტანის აზრით, ციხის მცველთა დამარცხება შეუძლებელი (უპასუხეთ მეორე სტროფის მიხედვით).
4. *განმარტეთ,* რა მიაჩნია ნესტანს „ამისგან უარეს ჭირად“.
5. *დაასახელეთ,* რას მოითხოვს ნესტანი ტარიელისაგან.

(5) **7. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ არჩილი ეუბნება კესოს:**

„ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი... ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან... ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ... ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორიშორსა ვართ-მეთქი... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას – ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია, და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მწიგნობარისა, – მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი, – მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ!“

1. *ამოიწერეთ* სამი სიტყვა, რომლებშიც ჩანს „უღონო თვალის“ დამახასიათებელი თვისება.
2. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, კონკრეტულად რა ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სწავლა-განათლებამ სოციალურ ფენათა ურთიერთობაში.
3. *განმარტეთ,* თავადაზნაურობის მიმართ გლეხობის რა დამოკიდებულება ჩანს არჩილის სიტყვებში.
4. *განმარტეთ,* რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „გული გულს ვეღარ მიგვიკარებია“.
5. *განმარტეთ,* რა იგულისხმება სიტყვებში: „პტყელი ენა მწიგნობარისა“.

(5) **8. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ალუდა ქეთელაური“:**

„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ალუდა მიმართავს ზებუნებრივ ძალას.
2. *განმარტეთ,* ალუდას რა სულიერი მდგომარეობა ჩანს მისსავე სიტყვებში.
3. *დაასახელეთ,* ბუნების სურათის რა დეტალის მეშვეობით ამძაფრებს ავტორი ალუდას ტრაგედიას (ციტირება დაუშვებელია!).
4. *განმარტეთ,* რა იგულისხმება სტრიქონში „თხრილი აღარ ჩანს კვალისა“.
5. *განმარტეთ* კონკრეტული მიზეზი, რომელიც განაპირობებს მოცემული მონაკვეთის ტრაგიზმს.

(5) **9. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „შერიგება“ ვკითხულობთ:**

დღეს ყველგან მზეა. ეხლა ამ ბაღებს
და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,
მაისი ალით ააზამბახებს,
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:
მე – მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს – უმძიმეს იაგუნდებით.

1. *განმარტეთ,* როგორ გესმით მყინვარის ავტორისეული დახასიათება.
2. *დაასახელეთ,* რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „მაისი ალით ააზამბახებს“.
3. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც შედარებაა გამოყენებული.
4. *განმარტეთ,* რა მსგავსებაა ლირიკულ გმირსა და მყინვარს შორის.
5. *განმარტეთ,* რის მინიშნება სურს ავტორს სიტყვებით: „დაფნის ფოთლებით სავსე“.

III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „მუხა საბურთალოს ბაზრის მოედანზე“:

I. როცა გნახე პირველად,
ქარი მცემდა სახეში
წვიმის წამოსასხამს
და ნარბენი ვუმზერდი
შენი მწვანე ფოთლების
შრიალსა და ხასხასს.

II. როცა გნახე პირველად,
იყავ გახარებული
უეცარი ავდრით,
მე შარვალში პერანგის
ამოჩაჩულ ბოლოებს
ხელით ვიჩურთავდი.

III. იმის შემდეგ ცხოვრების
სიზმრით თავგზადაბნეულს
ცისკრისა და მწუხრის
გაუგებარ სიხარულს,
ღირსი ვარ თუ არა ვარ,
ხელგაშლილად მჩუქნი:

IV. მთვარის ყვითელ სისხლში გაქვს
განბანილი ხელები
და ეგ შენი ტანი.
ჩემს სულს ისე იპარავს
მხოლოდ ერთი შეხედვით,
როგორც კლეპტომანი.

V. მთიდან როგორ ჩამოხველ
და აქ როდის მოსულხარ,
ქედმაღალო მუხავ,
ყური ვით შეაჩვიე
ამ ქალაქის ლაპარაკს
უხიაგს და უხამსს.

VI. შენ არ დაგაჯილდოვებს
მედიდური არწივი
თუნდაც ერთის ნახვით,
შენ არ გეხახუნება
ვნებიანი ქსუტუნით
გამაძღარი ტახი.

VII. შენ არ ამოგიდგება
გვერდით მთელი კორომი,
შენი ძმა და ასლი,
შენს ჩრდილს ვერვინ იჩრდილებს,
არვინ არ წამოწვება,
სუფრას არვინ გაშლის.

VIII. შენ ტყის ჩუმი სინათლით
არ ხარ გაშუქებული
და ქალაქის ბორგვით
ცხოვრობ და შენს გარშემო
ბრუნავს გადარეული
მანქანების ჯოგი.

IX. ჩვენ ძეხვივით გაბოლილ
ამ ქალაქში რა გვინდა...
გამისწორე თვალი,
როცა მომაქვს ბაზრიდან
გახვეული ქაღალდში
ყველის ნაოთხალი.

X. შენ ამ ბაზრის გრიალში,
მითხარ, რა გეშველება,
ქედმაღალო მუხავ,
მე კი ალბათ ოდესმე
სადღაც ქართლის სოფელში
მივუჯდები ბუხარს.

XI. სადაც საყდრის კედელზე
ქვის ფოთოლი ირხევა
და მტევანი ყურძნის,
სადაც ლანდი წინაპრის
ბალამწარას ყალიონს
გულმოდგინედ წუწნის.

XII. და მტვრის კორიანტელი
ენაგადმოგდებული
ქოფაკივით მოსდევს
იმ ავტობუსს, რომელიც
მორახრახებს კასპიდან
მიმავალი ნოსტეს.

XIII. იქ, ცხოვრებით დაღლილი,
ალბათ ბოლოს მოვიცლი
და ჩემს მემუარებს
გადავიტან ქაღალდზე,
ღამის სამელნეში რომ
ჩავარდება მთვარე.

XIV. მე ამაზე ვოცნებობ,
მაგრამ, მუხავ, მანამდე
ვხარობ შენი ნახვით,
ალბათ ჩემი ყოველი
ქალაქიდან გაქცევა
გათავდება კრახით...

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10. *რის* გამო შეიძლება ახარებდეს ავდარი მუხას?**
ა) ავდარი მუხას ბუნებრივი გარემოსაგან აშორებს.
ბ) ავდარი მუხისათვის რეალურ გარემოს აუტანელს ხდის.
გ) ავდარში მუხა ბუნებრივ გარემოსთან სიახლოვეს განიცდის.
დ) ავდარში მუხას რეალური გარემოს სიყვარული უმძაფრდება.

(1) **11. III სტროფის მიხედვით, *რას* განიცდის ლექსის ლირიკული გმირი მუხის ხილვისას?**
ა) კმაყოფილებას.
ბ) მადლიერებას.
გ) სევდას.
დ) სინანულს.

(1) **12. *რომელია* მეტაფორა?**
ა) „გაუგებარ სიხარულს“.
ბ) „იპარავს... როგორც კლეპტომანი“.
გ) „მთვარის ყვითელ სისხლში“.
დ) „სიზმრით თავგზადაბნეულს“.

(1) **13. *რა* დაპირისპირების შესახებ საუბრობს ავტორი გადატანითი მნიშვნელობით V სტროფ-ში?**
ა) ბუნებისა და ქალაქური გარემოს დაპირისპირების შესახებ.
ბ) სოფლისა და ქალაქის ყოფის დაპირისპირების შესახებ.
გ) ქალაქური ყოფის ზნეობრივ მხარესა და უხამსობას შორის დაპირისპირების შესახებ.
დ) „ქედმაღალი მუხისა“ და მთების დაპირისპირების შესახებ.

(1) **14. *რა* აზრის გამოსაკვეთად დასჭირდა ავტორს VI სტროფში არწივისა და ტახის ხსენება?**
ა) ქალაქის მოედანზე მათი გამოჩენა აღფრთოვანებას იწვევს.
ბ) ქალაქის მოედანზე შეუძლებელია არწივსა და ტახს შეხვდე.
გ) ქალაქის მოედანი მუხის ხისათვის საუკეთესო ადგილია.
დ) ქალაქის მოედანი მუხის ხისათვის შეუფერებელი ადგილია.

(1) **15. VIII სტროფის მიხედვით, *რა* განსხვავებაა ბუნებასა და ქალაქურ ყოფას შორის?**
ა) ბუნება მშვიდი და ჩუმია, ქალაქური ყოფა – მშფოთვარე და ხმაურიანი.

ბ) ბუნება მშფოთვარე და ხმაურიანია, ქალაქური ყოფა – მშვიდი და ჩუმი.
გ) ბუნება „ტყის ჩუმი სინათლით“ არის გაშუქებული.
დ) ქალაქისათვის უჩვეულოა „გადარეული მანქანების ჯოგის“ ბრუნვა.

(1) **16. ლექსის ლირიკული გმირის *რა* გრძნობაა გამოხატული მუხის მიმართ X სტროფში?**
ა) აღტაცება.
ბ) იმედი.
გ) სიამაყე.
დ) სიბრალული.

(1) **17. XIII სტროფის მიხედვით, *რაზე* ოცნებობს ლირიკული გმირი?**
ა) მემუარული ლიტერატურის გაცნობაზე.
ბ) მთვარით განათებულ გარემოზე.
გ) სიბერეში სოფლად ცხოვრებაზე.
დ) შემოქმედებითი ცხოვრებით დაღლაზე.

(1) **18. XIV სტროფის მიხედვით, *რატომ* ახარებს ლექსის ლირიკულ გმირს მუხის ხილვა?**
ა) მუხა ხელუხლებელ ბუნებას ახსენებს.
ბ) მუხა მიტოვებულ ქალაქს ახსენებს.
გ) მუხის ხილვა მემუარების დასრულებაში ეხმარება.
დ) მუხის ხილვა ქალაქიდან გაქცევაში ეხმარება.

(1) **19. *რა* აკავშირებთ ერთმანეთთან ლექსის ლირიკულ გმირსა და მუხას?**
ა) ლირიკული გმირის მსგავსად მუხასაც სიამოვნებს ბაზრის მოედანზე დგომა.
ბ) ლირიკული გმირის მსგავსად მუხასაც უჭირს მისთვის თვალის გასწორება.
გ) ლირიკული გმირის მსგავსად მუხაც გახარებულია მასთან შეხვედრით.
დ) ლირიკული გმირის მსგავსად მუხაც შეუფერებელ გარემოშია მოხვედრილი.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>**ნაწერი არ გასწორდება,**</u> *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები გურამ გეგეშიძის მოთხრობიდან „საყდარი“:

შიშიანობა იყო საქართველოში და მტრის მიერ აკლებული მონასტრიდან გამოქცეულმა მოხუცმა ბერმა ანთიმოზმა და ახალგაზრდა ბერმა იოანემ ერთ მიკარგულ ხეობას შეაფარეს თავი... ერისკაცობაში ანთიმოზ ბერი კალატოზი იყო, მაგრამ ახლა აღარავის ჭირდებოდა მისი ხელობა და ამიტომ განდეგილის ცხოვრება არჩია. ეს არ იყო მისთვის ძნელი, რადგან ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანის სულში არის რაღაც განდეგილური. ანთიმოზ ბერს თავისი ცოდნისა და შემოქმედების გაშლის საშუალება დახშული ჰქონდა და შვებას იმაში პოულობდა, რომ მოცალეობის ჟამს ახალგაზრდა იოანე ბერს ასწავლიდა ციხეებისა და ტაძრების აშენების საიდუმლო ხელოვნებას, იქნებ ოდესმე საჭირო გახდეს და გამოგადგესო. და აი, როცა ანთიმოზ ბერმა თითქმის ყველაფერი, რაც იცოდა, შეასწავლა იოანე ბერს, იოანე ბერმა გადაწყვიტა ამ მიკარგულ ადგილას დამოუკიდებლად პატარა საყდრის აგება დაეწყო, რადგან არ შეეძლო, თავისი ცოდნისათვის გასაქანი არ მიეცა. მან იცოდა, რომ ეს საყდარი არავისათვის საჭირო არ იქნებოდა ამჟამად, მაგრამ სხვანაირად ვერ მოიქცეოდა და თანაც, უნდა ითქვას პირდაპირ, ჰქონდა იმედი, რომ ოდესმე ვინმე მიაგნებდა ამ მიკარგულ, პაწია საყდარს და ლოცვით მოიხსენიებდა ოსტატის სახელს.

ერთ მშვენიერ დღეს იოანე ბერმა თავისი სურვილი ანთიმოზ ბერს გაანდო, რომელსაც ამ გადაწყვეტილებამ დიდი სიამოვნება მოჰგვარა. და იოანე ბერი, ანთიმოზ ბერის ლოცვა-კურთხევით გამხნევებული შეუდგა საქმეს...

ვინაიდან შესაფერი იარაღი არა ჰქონდა ქვების მოსაპირკეთებლად, იოანე ბერმა ისეთი გეგმა აირჩია საყდრის ასაგებად, რომ მოპირკეთება საჭირო არ ყოფილიყო და ამ უსწორმასწორო ლოდებს ლამაზი, მართალია ასიმეტრიული, მაგრამ უაღრესად ჰარმონიული ნახაზი შეექმნათ. ასეთი ხელობა ანთიმოზ ბერს არ უსწავლებია მისთვის, მაგრამ იოანე ბერი ამ მხრივ თავისი დამოუკიდებელი გზით წავიდა. და რადგანაც ყოველ გაუკვალავ გზაზე ძნელია სვლა, იოანე ბერსაც პირველ ხანებში ძალიან უჭირდა... მართალია, ზოგჯერ ბურუსით იფარებოდა ის, რაც გონებაში ჰქონდა წარმოდგენილი, ზოგჯერ მასალა არ აძლევდა საშუალებას სისრულეში მოეყვანა თავისი ჩანაფიქრი და იოანე ბერს გული უტყდებოდა რამოდენიმე ხნით, მაგრამ უცნაური ნათელხედვა, რომელიც ჭეშმარიტ შემოქმედს ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაშიც კი აპოვნინებს ხოლმე ერთადერთ სწორ გზას, გამოსავალს თუ გადაწყვეტილებას, ისევ უბრუნდებოდა, ისევ ეუფლებოდა, კვლავ ეხსნებოდა წინ ნათელი პერსპექტივა და იმედიანი, ხალისიანი იოანე ბერი აგრძელებდა თავის საქმეს. სამუშაოს დაწყებიდან ერთი წლის მერე... ბერმა იოანემ საყდრის ოთხივე კედელი ნახევრამდე ამოიყვანა და იმავე საღამოს ბერი ანთიმოზი, მისი მასწავლებელი და, შეიძლება ითქვას, სულიერი მამა, უძლურად შეიქნა.

– ძმაო იოანე, ვატყობ ჩემი აღსასრულის დღე დგება, – თქვა ბერმა ანთიმოზმა. ის ტახტზე იყო მიწოლილი და დაუძლურებულ სხეულს ვერ ერეოდა...

და უეცრად ახალგაზრდა ბერმა იოანემ აუწერელი შიში იგრძნო. შიში იმისა, რომ ჰკარგავდა ძვირფას ადამიანს და სრულებით მარტო რჩებოდა ქვეყანაზე, მიკარგულ ადგილას გამომწყვდეული, ყველას მიერ მივიწყებული და განდევნილი. ანთიმოზ ბერის სიკვდილთან ერთად, თითქოს მისი სიკვდილის ჟამიც დგებოდა, რადგან ამ ერთადერთი ადამიანის გარდა არავინ იცოდა მისი არსებობა ამქვეყნად... ერთბაშად დაავიწყდა იოანე ბერს თავისი აუშენებელი საყდარი, დაავიწყდა ის სიამოვნება, რომელსაც მისი შენებისას განიცდიდა და ერთადერთმა მძაფრმა სურვილმა შეიპყრო, როგორმე ჩაბღაუჭებოდა იმ სიცოცხლეს, რომელიც ქრებოდა მის გვერდით... ღამეები ერთმანეთს სცვლიდნენ და არ ჩანდა საშველი. მწუხარებამ საშინლად მოღალა იოანე ბერი; მწუხარებამ, ლოდინმა და მარტოობამ მოსტეხა მისი ახალგაზრდა სხეული და ერთ ღამეს ცეცხლთან მჯდარს ჩაეძინა... უეცრად რაღაცამ შეაკრთო მბჟუტავი ცეცხლის პირას მჯდარი და წამოხტა... ქოხის კედლებზე ცეცხლის ალისაგან წარმოქმნილი ჩრდილები მარაოსავით ქანაობდნენ. და უცბად, იოანე ბერმა ნათლად იგრძნო, რომ გარეთ ვიღაც იდგა სარკმელთან

და ელოდა. ის ვიღაცა მდუმარედ, ჩუმად, მაგრამ დაჟინებით და მტკიცედ ეძახდა გარეთ იოანე ბერს და მან გააღო კარები ამ უხმო ძახილს მიყოლილმა და წყვდიადში გავიდა... რამდენიმე ნაბიჯის ალალბედზე გადადგმის შემდეგ დაინახა ის, ვინც ეძახდა, ბებერი მუხის ქვეშ მდგარი, უფერო და უსახო.

– ვინ ხარ შენ? – მკაცრად ჰკითხა იოანე ბერმა...

– მე სიკვდილი ვარ, – იყო პასუხი.

– სიკვდილი? – თქვა იოანე ბერმა და შეეშინდა, – მერე აქ რა გინდა?..

– გამოვიარე, – უპასუხა სიკვდილმა და გრძელტარიან ცელს დაეყრდნო.

იოანე ბერი გააკვირვა სიკვდილის ხმამ. მას ჰქონდა მშვიდი, გულგრილი, მტკიცე და ამავე დროს მწუხარე ხმა... წყვდიადი შემოხვეოდა მათ, ბუკიოტების და აფთრების საზარელი კივილი ისმოდა ტყიდან. მერე სიჩუმე სიკვდილმა დაარღვია.

– იოანე, – თქვა მან ნაღვლიანად, უხალისოდ, თითქოს დაღლილი იყო და ლაპარაკი ეზარებოდა, – შენ გინდა უშველო ანთიმოზს?

– მინდა, რასაკვირველია!

– მაშინ ეგ საყდარი, რომლის შენებაც დაგიწყია, უნდა დაანგრიო...

იოანე ბერი ჩაფიქრდა... როგორ დაენგრია საყდარი, რომელსაც ამდენი შრომა და სიყვარული შეალია. ის უკვე მისი ცხოვრების მიზნად ქცეულიყო... მაგრამ ანთიმოზ ბერიც რომ ძალიან უყვარდა?! რა ექნა? სულიერისათვის როგორ ვერ გაემეტებინა არასულიერი? თუმცა ეს საყდარი განა მისი სულის გამოხატულება არ იყო?..

– შენ სიკვდილი ხარ და გინდა, რომ ყველაფერი დაინგრეს, ეს არის შენი ვალი... შენ სიცოცხლე გძულს, სიკვდილო, და ამიტომ მირჩევ დანგრევას.

– სიცოცხლე მძულს? – გულწრფელად გაუკვირდა სიკვდილს, – რატომ უნდა მძულდეს? არც მძულს და არც მიყვარს... ჩვენ ერთდროულად ერთმანეთის გვერდით ვარსებობთ და თუ გინდა იცოდე, უერთმანეთოდ ვერც ვიარსებებდით... ვინ რა იცის, როგორ მეშინია და ვიტანჯები, როდესაც ჩემს წიაღში სიცოცხლე ისახება და აპირებს წარმოქმნას?.. სიცოცხლე სწორედ ჩემგან მოდის, ჩემგან იწყება და ეს ჩემთვის ისევე ძნელია, როგორც სიცოცხლისათვის იქ დაბრუნება, საიდანაც იშვა.

– როგორ შეიძლება, შენს წიაღში რაიმე წარმოიშვას, შენ ხომ არარაობა ხარ?

– არარაობა? არარაობა შენ ხარ იოანე, თქვენ ყველანი ჩემი შვილები ხართ, მე მუდმივი ვარ.

– არც მე ვარ არარაობა, – წყნარად წარმოთქვა იოანე ბერმა, – მე შეიძლება, ვიყავი არარაობა, შეიძლება, ისევ ვიქცე არარაობად, მაგრამ ახლა ადამიანი ვარ.

– ძალიან ჯიუტი ადამიანი ყოფილხარ, – მოუთმენლად თქვა სიკვდილმა, – უკანასკნელად გეკითხები, იოანე, დრო აღარ ითმენს, დაანგრევ საყდარს?

– ვერა, სიკვდილო, ვერ დავანგრევ, – უპასუხა ბერმა იოანემ და იმავე წუთს სიკვდილი სადღაც გაქრა.

ტყეში ისევ განწირული ადამიანივით აკივლდა აფთარი. იოანე ბერი ქოხში მობრუნდა. მან დაინახა, რომ ანთიმოზ ბერი მომკვდარიყო.

გავიდა დიდი, დიდი დრო. შეიძლება რამდენიმე საუკუნეც კი. იმ მივარდნილ ადგილზე, სადაც ოდესღაც ბერები ცხოვრობდნენ, იდგა პატარა საყდარი, მოუპირკეთებელი ქვებით ნაგები... იდგა ის მდუმარე მუხების ჩრდილით დაფარული, სუროში და ხავსში გახვეული, ადამიანურ ვნებათა უტყვი მოწმე.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10. *რატომ* არ სჭირდებოდა აღარავის ანთიმოზ ბერის კალატოზობა?**

ა) ანთიმოზ ბერს ხანდაზმულობის გამო კალატოზობა აღარ შეეძლო.

ბ) ანთიმოზ ბერს დამოუკიდებლად არ შეეძლო საყდრის აგება.

გ) მტრის მიერ აკლებულ ქვეყანაში აღარაფერი შენდებოდა.

დ) მტრის მიერ აკლებულ ქვეყანაში სხვა კალატოზი გამოჩნდა.

(1) **11. ანთიმოზ ბერის *რა* სულიერ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს სიტყვები:** „იქნებ ოდესმე საჭირო გახდეს და გამოგადგესო“.
ა) ანთიმოზ ბერი შეპყრობილია ახალი ტაძრის აშენების სურვილით.
ბ) ანთიმოზ ბერს არა აქვს დაკარგული უკეთესი მომავლის იმედი.
გ) ანთიმოზ ბერს დაკარგული აქვს უკეთესი მომავლის იმედი.
დ) ანთიმოზ ბერისათვის სულერთია ქვეყნის შემდგომი ბედი.

(1) **12. *რა* იყო უმთავრესი მიზეზი, რამაც იოანე ბერს საყდრის აშენება გადააწყვეტინა?**
ა) „ანთიმოზ ბერმა თითქმის ყველაფერი... შეასწავლა იოანე ბერს“.
ბ) „ოდესმე ვინმე... ლოცვით მოიხსენიებდა ოსტატის სახელს“.
გ) „არ შეეძლო თავისი ცოდნისათვის გასაქანი არ მიეცა“.
დ) „ჰქონდა იმედი, რომ ოდესმე ვინმე მიაგნებდა... საყდარს“.

(1) **13. *რის* თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** „იოანე ბერი... თავისი დამოუკიდებელი გზით წავიდა“?
ა) იოანე ბერის ხელოვნება შემოქმედებითი ინდივიდუალიზმით გამოირჩეოდა.
ბ) იოანე ბერი თავისი შემოქმედებით მასწავლებელს ეჯიბრებოდა.
გ) იოანე ბერს, როგორც შემოქმედს, გაუკვალავი გზით სიარული უჭირდა.
დ) იოანე ბერს საყდრის აშენებისას მასალის ნაკლებობა უშლიდა ხელს.

(1) **14. იოანე ბერის *რა* სულიერი მდგომარეობა ჩანს სიტყვებში:** „სრულებით მარტო რჩებოდა ქვეყანაზე“?
ა) გულგრილობა.
ბ) სევდა.
გ) სინანული.
დ) სასოწარკვეთა.

(1) **15. *რომელ* ციტატაშია გამოყენებული შედარება?**
ა) „წარმოქმნილი ჩრდილები მარაოსავით ქანაობდნენ“.
ბ) „მდუმარე მუხების ჩრდილით დაფარული“.
გ) „მწუხარებამ საშინლად მოღალა ბერი იოანე“.
დ) „ღამეები ერთმანეთს ცვლიდნენ და არ ჩანდა საშველი“.

(1) **16. *რა* ფუნქცია ეკისრება სიტყვებს:** „ბუკიოტების და აფთრების საზარელი კივილი ისმოდა ტყიდან“?
ა) გაამძაფროს წყვდიადის განცდა.
ბ) წარმოაჩინოს სიკვდილის გულგრილობა.
გ) წარმოაჩინოს ბუნების სისასტიკე.
დ) გაამძაფროს ტრაგიზმის განცდა.

(1) **17. იოანე ბერის ხასიათის *რა* თვისებაზე მიგვანიშნებს ის, რომ საყდარი** „მისი ცხოვრების მიზნად“ **იყო ქცეული?**
ა) იოანე ბერს გამახვილებული აქვს ადამიანური ღირსების შეგნება.
ბ) იოანე ბერი თავდაჯერებული და დიდების მაძიებელი ხელოვანია.
გ) იოანე ბერი შემოქმედებითი იდეალების ერთგული ადამიანია.
დ) იოანე ბერი სათნო და კაცთმოყვარე ბუნების ადამიანია.

(1) **18. *რატომ* არის სიკვდილისათვის ძნელი ის, რომ სიცოცხლე მისგან იწყება?**
ა) სიკვდილი ვერ ეგუება საკუთარი წიაღიდან სიცოცხლის წარმოშობას.
ბ) სიკვდილს არ უნდა თავის წიაღში სიცოცხლის მიღება.
გ) სიცოცხლეს არ შეუძლია სიკვდილის წიაღში დაბრუნება.
დ) სიცოცხლეს სწორედ სიკვდილის წიაღში უნდა დაბრუნება.

(1) **19. *რა* არის მოცემული ტექსტის უმთავრესი აზრი?**
ა) შემოქმედისათვის ყველაზე მეტად ახლობელი ადამიანის სიცოცხლეა ღირებული.
ბ) შემოქმედისათვის ყველაზე მეტად მისი ნაწარმოების დაფასებაა ღირებული.
გ) შემოქმედისათვის ყველაზე მეტად რელიგიური რწმენაა ღირებული.
დ) შემოქმედისათვის ყველაზე მეტად საკუთარი ნაწარმოებია ღირებული.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>ნაწერი არ გასწორდება</u>, *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

I ვარიანტი

I. ქართული ენა

1. 1. – თ); 2. – გ); 3. – ვ); 4. – ბ).
2. I შეცდ. 1, 4, 6, 7; II უშეცდ. 2, 3, 5.

3. თავისუფლების მოედანი დიდი ხნის განმავლობაში უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა. მე-18 საუკუნის ბოლომდე ამ ადგილებში ერთადერთი შენობა ჩანს. ვახუშტის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, იქ, სადაც მერიის შენობაა, მხოლოდ „ბეჟანას ქარვასლა“ იდგა. მე-19 საუკუნიდან დაიწყო აქაურობის ინტენსიური განაშენიანება. ზოგიერთმა ნაგებობამ ჩვენს დრომდე მოაღწია. მათგან აღსანიშნავია ხელოვნების მუზეუმისა და მერიის შენობები.

მოედნის ირგვლივ იდგა რამდენიმე შენობა, რომლებიც ამშვენებდა თბილისს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით აგებული თეატრი და ქარვასლა. სამწუხაროდ, თეატრი დაიწვა და შენობა მხოლოდ ქარვასლას დაეთმო, რომელიც ორ ნაწილად ყოფდა მოედანს. გასული საუკუნის 30-იან წლებში ეს მონუმენტური შენობა დაანგრიეს მოედნის რეკონსტრუქციის გამო.

4.

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	*ქულები*
1.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე.	**3**
2.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული.	**2**
3.	ტექსტი ორგანიზებულია, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან დავალება ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	**1**
4.	ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებული.	**0** **ნაწერი არ სწორდება**

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	*ქულები*
1.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული სამივე მითითება და ***გამყარებულია*** შე-საბამისი მაგალითებით.	**4**
2.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება და მესამე – ნაწილობრივ.	**3**
3.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ერთი მითითება და ორი – ნაწილობრივ.	**2**
4.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული სამივე მითითება ან ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება, მაგრამ ერთი მითითება არ არის დასაბუთებული.	**1**
5.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული მხოლოდ ორი მითითება და მესამე არ არის დასაბუთებული ან დასაბუთებულია მხოლოდ ერთი მითითება, დანარჩენი ორი არ არის დასაბუთებული.	**0**

III. კრიტერიუმი

№	ორიგინალური აზროვნება და ზოგადი განათლება	*ქულები*
1.	ნაშრომში გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათ-ლება.	1
2.	ნაშრომში არ გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათლება.	0

IV. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

V. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
2.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
3.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

VI. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	1
2.	დაშვებულია სამზე მეტი შეცდომა.	0

II. ქართული ლიტერატურა

5. საზოგადოება რომ თანაუგრძნობს, ჩანს შუშანიკის სიტყვებში: „ნუ სტირთ“. სიტყვა „ამბოხი“ ნიშნავს ხალხის სიმრავლეს. დედოფალს პიტიახში სიკვდილით ემუქრება. შუშანიკის აზრით, მისი ამქვეყნიური ტანჯვის საზღაური იქნება სამოთხეში დამკვიდრება. იმ ქვეყნად ვარსქენს მარადიული სატანჯველი უნდა ელოდეს.

1. „ნუ სტირთ“ ------------------------------------1ქ.
2. ბრბოს ------------------------------------1ქ.
3. სიკვდილით ------------------------------------1ქ.
4. სასუფეველში დამკვიდრება ------------------------------------1ქ.
5. ჯოჯოხეთი ------------------------------------1ქ.

6. ქაჯეთის ციხე, ნესტანის თქმით, აუღებელია. „მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“. ნესტანის აზრით, ციხის მცველთა დამარცხება იმიტომ არის შეუძლებელი, რომ ისინი სხვა მეომრებს არ ჰგვანან (უძლეველი მეომრები არიან). „ამისგან უარეს ჭირად“ ნესტანს ტარიელის სიკვდილი მიაჩნია. ნესტანი მოითხოვს, რომ ტარიელმა დაივიწყოს იგი.

1. აუღებელია ------------------------------------1ქ.
2. „მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“ ------------------------------------1ქ.
3. ისინი უძლეველი მეომრები არიან ------------------------------------1ქ.
4. ტარიელის სიკვდილი ------------------------------------1ქ.
5. არ იფიქროს მის გამოხსნაზე ------------------------------------1ქ.

7. „უღონო თვალის“ დამახასიათებელი თვისებაა „თეთრი შავად აჩვენოს“. სწავლა-განათლების წყალობით სოციალური ფენები შეიძლება ერთმანეთს დაუახლოვდნენ. არჩილის სიტყვებში ჩანს გლეხობის უნდობლობა თავადაზნაურობის მიმართ. ავტორი გულისხმობს, რომ გლეხებსა და თავადებს ერთმანეთისა არ ესმით. სიტყვებში – „პტყელი ენა მწიგნობარისა“ – იგულისხმება განათლება, რომელიც არავის არგია (მწიგნობრობა, რომელიც პრაქტიკაში ვერ ხორციელდება; ფუჭი სიტყვები, ფუჭი საქციელი, რომელიც არაფრის მაქნისია; ისეთი სიტყვა, რომელსაც საქმე არ ახლავს თან).

1. თეთრი შავად აჩვენოს ------------------------------------1ქ.
2. ერთმანეთთან დააახლოვოს ------------------------------------1ქ.
3. გაუცხოება (გაუგებრობა) ------------------------------------1ქ.
4. ერთმანეთის სატკივარს ვერ ვგრძნობთ ------------------------------------1ქ.
5. ფუჭსიტყვაობა ------------------------------------1ქ.

8. ალუდა ზებუნებრივ ძალებს მიმართავს სიტყვებით – „მშვიდობით, ჩვენო ბატონო“. ალუდას სიტყვებში ჩანს გულისტკივილი. ავტორი ალუდას ტრაგედიას ამძაფრებს ქარის ხმაურის მეშვეობით. სტრიქონში „თხრილი აღარ ჩანს კვალისა“ იგულისხმება, რომ ძლიერმა ქარმა წაშალა მგზავრთა ნაკვალევი. ალუდა იძულებულია, მშობლიური ადგილები დატოვოს.

1. „მშვიდობით, ჩვენო ბატონო“ ------------------------------------1ქ.
2. გულისტკივილი (სევდა, უიმედობა, გულგატეხილობა...) ------------------------------------1ქ.
3. ქარის ხმით (ღრიალით...) ------------------------------------1ქ.
4. თოვლს ნაფეხურები აღარ ეტყობა ------------------------------------1ქ.
5. მშობლიური მიწა-წყლიდან იძულებით აყრა ------------------------------------1ქ.

9. ავტორის დახასიათებით, მყინვარი არამიწიერი სინამდვილის (მშვენიერების) სიმბოლოა. სტრიქონში „მაისი ალით ააზამბახებს“ გამოყენებულია მეტაფორა. შედარება გამოყენებულია სტრიქონში – „ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“. ლირიკულ გმირსა და მყინვარს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე გვირგვინითაა შემკული. სიტყვებით – „დაფნის ფოთლებით სავსე“ – ავტორს სურს, მიანიშნოს, რომ იგი პოეტების მეფეა (ყველაზე უკეთესია).

1. ამაღლებულ განწყობათა მეუფეა ------------------------------------1ქ.
2. მეტაფორა ------------------------------------1ქ.
3. „ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“ ------------------------------------1ქ.
4. ორივე გვირგვინითაა შემკული ------------------------------------1ქ.
5. გამარჯვებულია ------------------------------------1ქ.

III. წაკითხულის გააზრება

10. *გ)* ----------*1ქ.* **11.** *ბ)* ----------*1ქ.* **12.** *გ)* ----------*1ქ.* **13.** *ა)* ----------*1ქ.* **14.** *დ)* ----------*1ქ.*
15. *ა)* ----------*1ქ.* **16.** *დ)* ----------*1ქ.* **17.** *გ)* ----------*1ქ.* **18.** *ა)* ----------*1ქ.* **19.** *დ)* ----------*1ქ.*

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **25.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

№	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტება*	*მაქსიმალური ქულა*
I	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების ადეკვატური გაგება და ტექსტის სიღრმისეული გააზრება.	**4**
II	ნაშრომის აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების პირობის სამივე მითითების შესრულება, მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	**3**
III	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო ტექსტური მასალით.	**6**
IV	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ნაშრომში უნდა გამოიყოს ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა უნდა დასაბუთდეს სათანადო მაგალითებით.	**2**
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, ზოგადი განათლება.	**3**
VI	ფაქტობრივი შეცდომები	ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	**1**
VII	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად გამართული იყოს.	**2**
VIII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	**2**
IX	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	**2**

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	**4**
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.	**3**
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	**2**
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	**1**
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. *დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.*	**3**
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**2**
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	**1**
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***ორ*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	**2**
2.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***ერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	**1**
3.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის ***გამოყოფილი*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	**0**

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**2**
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**1**
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი შეცდომები*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**0**

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	**2**
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	**1**
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	**0**

VIII კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	**2**
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	**1**
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	**0**

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**0**